

12 105
2 09



სტუკან გალარე

ლექსები და პროზა

ქართული ბიბლიოთეკა

ქუთაისი

1919



მეოცნებე
ნიამორების
გამოცემა



STEPHANE MALLARME

VERS ET PROSE

MORCEAUX CHOISIS

სტეპან მაღარამ

K 12.195
2 09

წიგნები და კრებულები

ბუთაიანი
1919





სტეფან მალარმე დაიბადა პარიზში 18 მარტს 1842 წლის
 ოცი წლის გაემგზავრა ინგლისს და საფრანგეთში დაბ-
 რუნებული 1862 წლიდან ინგლისურ ენას ასწავლიდა
 პროვინციაში, საიდანაც აგზავნიდა „Parnasse contem-
 porain“ში თავის პირველ ლექსებს. 1873 წელს ინ-
 გლისური ენის კათედრა მიიღო პარიზში და დააარსა
 ჟურნალი „La derniere mode“. ამ დროს დასწერა
 ეკლოგა „ფანის შუადღე“. მალარმეს სახელმწიფო მომელ-
 საც გაუისმანსმა თავის რომანში—„au rebours“ ხოტბა
 შეასხა, იზრდებოდა და მისმა სამშაბათებმა პატარა ბი-
 ნაში rue de Rome“ზე შეაჯგუფა ახალგაზნდა პოეტები:

+ ქეულ ლაფორგი, + ანრი დე-რენდე, + ვეფლე გრიჩინი,
 + გაუსტავ კანი, პოლ კლოდელი და კომპოზიტორი დე-
 ბუსი. ყალიონით ხელში ბუხარზე მიყრდნობილი პაპი-
 როსების ლურჯ ბურუსში მალარმე ლაპარაკობდა პოე-
 ზიაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, თეატრზე. ახალგაზდობა
 ხარბად ითვისებდა გრძნეულ სიტყვებს და მის განსა-
 კუთრებით ნათელ და ნაზ ცქერას.

როცა მალარმემ იგრძნო დაღლილობა, გაანება თავი
 პროფესორის თანამდებობას და გაემგზავრა ვალვენის
 პატარა დაბას. აქ დასწერა თავისი ესკიზები ესთეტიკაზე,
 რომლებიც დაბეჭდა „Revue Blanche“-ში. უნდოდა იქ
 დაეწავებია პოემა „იროდიადა“ და დაეწერა დიდი შრო-
 მა, რომელიც ადარ შეუსრულებია. მაგრამ მოულოდ-
 ნელათ მოვიდა სიკვდილი და შესწყვიტა საფრანგეთის
 უდიდესი პოეტის შემოქმედი მუშაობა. ეს მოხდა 1898
 წლის 9 სექტემბერს.

სტეფან მალარმეს შემოქმედება იყოფა ორ პერიოდათ:
 თავის პირველ ლექსებს (1886 წლამდე) იგი სწერდა
 შარლ ბოდლერის გავლენის ქვეშ—იდეების მხრით და
 —შეიძლება—ბანვილის და გოტიეს გავლენის ქვეშ

Handwritten notes in the left margin, including the number '148' and some illegible text.



ფორმის მხრით. შემდეგ ნელი ნელ განვითარებაში მა-
ლარმე გადავიდა უფრო ინდივიდუალურ პოეზიაზე, ქმნი-
და გამოთქმის საკუთარ მანერას. ყოველივე რეალურს
ის გრძნობდა როგორც თავის ფანტაზიას. ამგვარი პოე-
ზიის გაგება მოითხოვდა მკითხველისაგან ქმედით მუშაო-
ბას, რომელიც ანალოგიური უნდა ყოფილიყო პოეტის
შრომისთან. მალარმე ამბობდა: „საგნის დასახელება
ნიშნავს სიამოვნების სამი მეოთხედის გაქრობას. სიამოვ-
ნება შედეგია საგნის თანდათან გამოცნობისა.—პოეზია-
ში უნდა იყოს იდუმალება“.

ლექსთა წყობა მალარმემ დატოვა კლასიკური, მაგრამ
ზედმეტი სიტყვების გამოშვებით, მათი უჩვეულო და-
ლაგებით და სინტაქსის ყველა ჩვეულებრივი წესების
დარღვევით იგი ქმნიდა სასურველ ეფექტს. ხშირად
სიტყვის პირდაპირ აზრზე მეტ ანგარიშს უწევდა მის
მუსიკალურ მნიშვნელობას. ვაგნერის უშუალო გავლენ-
ით მალარმემ მეტი როლი მიანიჭა ლექსის ხმოვანო-
ბას. მაშინ დასწერა გაუგებარი პოემა „Un coup de
dés“, მაგრამ ეს ცდა არ გვაძლევს წარმოდგენას მის
დაუწერავ წიგნზე, რომლის შესახებ იგი ასე ხშირათ
ესაუბრებოდა თავის მოწაფეებს.

ლექსებს გარდა მალარმემ დატოვა თორმეტი ლექსი
პროზათ, წიგნი ესთეტიურ წერილებისა—„Divagations“
და ელგარ პოეს პოემების თარგმანები.

თარგმანების ავტორები თარგმანაში დახმარებისათვის
მადლობას სწირავენ ელფონორა ნაზაროვის ქალს.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მ ე მ ს ე ბ ი

ფანჯარში.

საავადმყოფო სევდიანი. ნაორთქლი მყრალი
ფარდების ჩვეულ სითეთრეში მიილტვის ზევით,
სადაც კედელზე მწუხარეა ჯვარცმა მაღალი...
აქ მომაკვდავი იშმუშნება ოხვრათა ფრქვევით.

დგება და მიდის, რომ გაათბოს თვისი სხეული,
რომ ქვებზე სხივი დაინახოს. ხარბ მოკრძალებით
დაეწაფება თეთრი მატყლით — ის დანგრეული —
სანატრელ ფანჯრებს, განათებულს მზიურ ალებით.

იგი მთვრალია, დაივიწყა მან ზიარება,
ლოგინი, ხველა, მიქსტურები, უზენაესი;
ფარდაზე მწუხრი სისხლიანი დაიარება,
და იგი ხედავს, რომ ჰორიზონტს ახრჩობს დაისი.



ოქროს გაღვრებს, ვით მშვენიერ გედებს ძვირფასებს
სძინავთ იქ ლალის და სურნელის მდინარეებზე,
არწევენ ზანტად თვის მეწამულ ჩირაღდან ხაზებს; —
და მიჯაჭვული მოგონების წარსულ დღეებზე

იგი უცქერის გულის წყრომით ავ ადამიანს,
რომ ეთაყვანა სიამეთა მადიან გროვებს,
იგი დაეძებს დაჟინებით ტალახს შხამიანს,
რომ შესთავაზოს ქალს, რომელიც ბავშვებს აწოვებს.

ხეტიალის ღროს ყველა ფანჯრებს დავეკიდები,
საიდან ყოფნას თავის მკვლელნი სწრაფ ათავებენ.
სპეტაკი მინა — გაწმენდილი ციურ ღიდებით —
მას უფსკრულები დილის სხივებს დაათოვებენ.

მე ჩემ თავს ვხედავ ანგელოზად სათუთ მინაში,
და ეს ფანჯარა ხელოვნებათ მომელანდება,
რომ გარდაქმნილმა მე ავმართო ოცნება ცაში,
სად სილიამაზე დიადემით მუდამ ბრძანდება.

მაგრამ, ახ, ქვეყნად არის ერთი ბილწი ბატონი,
მიტომ ხანდახან მოვაშურებ მე ამ სავანეს,
სიბრყვის ნთხევა მაიძულებს ძნელასატანი,
რომ დავარიდო ჩემი ყნოსვა ცას მონაფანეს.

ო, სულო ჩემო, დაბნედილო მეტი ტანჯვებით,
ნუ თუ შენ ახლა ვერ დაამსხვრევ ბროლს—ამაყბედში,
და ვერ გაჰქრები ჩემ ხელების უბუმბლო ფრთებით:—
შიშით—ჩავარდე დაკიდებულ თეთრ უკუნეთში?

610.

მუდამ ბრწყინვალე, მედიდური და მოთარეშე,
ნუ თუ შენ ახლა ვერ დაამსხვრევ ფრთის გაბრაზებით
ტბას ყოფილს, სადაც იქარგება თოვლის ხაზებით
სპეტაკი ყინვა - უზენაეს ფრენის გარეშე.

შენ წარსულ დღეებს, სევდის გედო, სტვირფასები,
ებრძვი უდაბნოს განათებულ სიმწუხარეში,
შენ ველარ სცხოვრობ გამოგონილ უცხო მხარეში
და აი ბრწყინავს თვით ზამთარი თეთრ დარბაზებით.

რომ გადალახავ მკვდარ სივრცეებს, ტყვილად გგონია,
ეალერსება შენს თეთრ კისერს თვით აგონია,
შენ ფრთებითა ხარ მიჯაჭვული ლალი, გვიანი.

შენი ჩვენება ამ წყვდიადში კრთის — დაღიანი;
მარტოობაში დაგამშვენებს მეფური ძილი,
და სიამაყით იმოსება შენი აჩრდილი.

გეო.

ისევ მედგარი, სხივოსანი, ქალწული მარად,
ნუ თუ ის ღღესაც ვერ გაარღვევს ფრთის გაქანებით,
ტბების სარკეებს, სადაც თოვლის მკაცრი ბრძანებით
ყველა გაფრენას შემოერთყა ყინვები ჯარათ.

ბროლის სამყაროს მოიგონებს გედი წვალეებით;
მეფურ დარღობას უდაბნოში და სპეტაკ ჰაერს;
ამაოთ ელის სიმღერებში ქვეყნებს სხვანაირს,
როცა ზამთარი დაბრუნდება თეთრ ბრწყინვალეებით.

სათუთი ყელით ის იგერებს სიკვდილს მშვენიერს;
სანატრელ სივრცეს ვერ გადასჭრის ამაყი ფრთებით,
და ვერ ასცდება სინამდვილეს საშინელს ძლიერს;

თეთრ მოჩვენებათ ამ წყვლიადში გამოკვეთილი
ის, განდევნილი, იყინება ცივი სიზმრებით,
მედიდურ სევდის მღუმარებით გამოკეტილი.

ლაქვარდი.

სხივთა სიცილი ცას ამძიმებს. სხივთა მტევრობა
მშვენიერია, ვით ყვავილთა დაუდევრობა.

თავის ბედისთვის ემეტება პოეტს გინება,
ცნობილ სევდების კვლავ უდაბნო მოევლინება.

დახუჭულ ცქერით მე მივდივარ, ვგრძნობ იმის თვალებს,
ვით სინიდისი ჩემს მარად სულს ტანჯვას ავალებს.

რომელ ღამეში გავისროლო ჩემი ვაება,
სადღა გავიქცე, როცა ზიზღი სულს გადაება—

აღსდები ნისლო! მოაბნიე ფერფლის სინაზე,
და შენი გრძელი ნაფლეთები გაჰკიდე ცაზე,

სად შემოდგომის წითელ—მწვანე ჩნდებიან ტბები,
ამართე ახლა მღუმარების დიდი თაღები.



ძვირფასო სევდა! დავიწყების ტბებს ზანტად სუფიერებს
მდინარის ტალახს და ლერწამებს ზანტად აგროვებ,

სევდიან ხელით ამოავსო გინდა ხვრელები,
რომლებს ღრუბლებში აკეთებენ ცის ფრინველები.

კიდევ და კიდევ! საკვამლენი იკვამლებიან,
ჭვარტლის კოშკები ხეტიალით ცაში ჰქრებიან,

იქ, სადაც შავი კოშმარია შავ ხაზებისა,
და ჰორიზონტზე მომაკვდავი სიყვითლე მზისა.

ცა გარდიცვალა! სუბსტანციავ! მიეცი ნება
ტანჯულს—ცოდვათა, იდეალოთა გადავიწყება;

ტანჯულს, რომელიც ეზიარა სარეცელს ღარიბს,
სადაც პირუტყვი კმაყოფილი ღამეს ატარებს.

მე ასე მინდა! რადგან ჩემ ტვინს განადგურებულს,
ვით უმარულის ნახმარ შუშას—კუთხეში გდებულს,

არ შეუძლია აფერადოს მტირალი აზრი
და ნაზ ოხვრებით აღიადოს სიკვდილი ზასრი.



ქართული
ლიბრეოთეკა

ცდა უსარგებლო! და სიკვდილი ზარებში გულჩაქვს,
ო, სულო ჩემო, ის ამ ხმებში ხშირად მტარვალობს.

თავის სიავით ის გვაშინებს შეუბოვარი,
მწვანე *angélus* ლითონიდან ისმის მთოვარი;

მოექანება მძიმე ნისლში, გმირაჟს ფრთამალი
შენ სულის დამგლეჯ აგონიას, ვით ვიწრო ხმალი.

სადღა გავიქცე, მაგრამ თითქოს წყეთი დამეცა:—
შთაგონებულმა კვლავ ვიხილე მე:— ზეცა, ზეცა!



ქართული
ბიბლიოთეკა

ფ ა ზ ნ ი ს შ უ ა ღ ღ ე

მელოგა



ქართული
ლიბრეოთეკა

ფ ა ვ ნ ი

მინდა, ნიმფებო, აღვადგინო მე ის წუთები
კრთის მათი ტანი — დასიებში ნასათუთები,
სიზმრების ტყეში.

ვინ მიყვარდა: ნიმფა, ჩვენება?

არ ვიცი, თითქოს ღამეა და არ მესვენება
ამ ტოტებ შორის. ვხედავ, — სევდით კვლავ აღჭურვილი
მე ამ ნაცნობ ტყეს; ამაოა ჩემი სურვილი: —
ჩემი ოცნება ნიმფებს ძილში გაეკიდება,
რომ შორ სხეულთა გამოცანას მისცეს დიდება.

იქნებ

ის ქალნი ლანდებია შენი ვნებისა,
შენს მიუწდომელ საუკუნო სურვილებისა.
შენი სიზმარი, ფავნო, როგორც კრემლთა მდინარე
ქალის ცივ და ლურჯ თვალებიდან სდის მოლხინარე.
მაგრამ შეხედე: ვით ზაფხულის ნაზი ჰაერი
შენს წინ კანკალებს უჩვეულო და სხვანაირი.
როს დილას უნდა დაამარცხოს სიცხე ფრქვეული
და გაიგრილოს დატანჯული თვისი სხეული,
ის შარიშურობს ჩემ საკრავის უხეფებით მარად,
რომ უხეფებს ბუჩქნი ხმების მსგავსად გადაეცვარათ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი ნიავეი ფანდურიდან გამოვა ბოლოს,
რომ ხმა მშრალ წვიმად შორ ტყეებში გადაისროლოს.
და ცაში, სადაც აღარ არის ღრუბელთ კრებული,
აღის ის ოხვრა—საამო და მოფიქრებული.

ო, სიცილიის ღრმა ჭაობის ჩუმო ნაპირო,
შენი დაშრობა სიამაყის მზემ დააპირა.
სთქვი ნაპერწკლების ფოთლების ქვეშ, სიტყვა ატირე:
„აქ ვჭრიდი ლერწაშს, მაშინ იგი მოვინადირე,
„როცა მინდვრების მწვანე ოქროს მტვერში ვიყავი
„ვისმინე ვაზის და წყაროს ხმა — შორს გამრიყავი.
„მხეცის სითეთრე დაქანცულმა მე თითქოს ვნახე,
„ნიმფების კრთომა, მათი ტანი—კვლავ მოცახცახე.
„და სტვირის ხმაზე აფრინდება გედების დასი,
„გედების არა, ფერიების დასი ძვირფასი“.

შუადღის წყრომით ვარ უძრავი და გადამწვარი,
არ ვიცი რატომ ბუნდოვან ხმებს ატოკებს ქარი,
ხმები ებრძვიან მღუმარების ნათელ სიავეს,
და აი კიდეც ის ნიმფები გაანთავეს.



მარტო ვარ. ზევით მზე ვარვარებს — ალით ნახავსი,
 და ფეხზე ვდგები, ო ზამბახო, შენივე მსგავსი.
 და ჩემს მაგარ მკერდს ამჩნევია რალაცა კვალი
 უცხო ნაკბენის — ეს არ არის ნაალერსალი.
 მთარულ კოცნის ეს არ არის ნეტარი დალი,
 ქალღმერთის კბილმა მე მაჩუქა ეს კოცნა ლალი.
 იღუმალემა იბადება უსპეტაკესი

ცელქი ლერწამის დაულაღვ ხმოვან ბაგეზე.
 იმას ჰგონია, რომ დავსცურავთ ჩვენ სიამეში,
 რომ ამოა მშვენიერი ჩვენი თამაში.
 ჩვენ დავამშვენეთ სიყვარული იღუმალეებით
 და ჩვენ დავსტირით სიბნელეში ჩუმი თვალეებით
 იმ ბარძაყების მოჩვენებას, ზურგთა ზმანებას;
 ჩვენ ამ სიზმრების დაფარულ და ბნელ მობრძანებას
 გრძელ ჰანგათ ვაქცევთ გაუგებარ სიმწუხარეში
 და ის უმიზნოდ აკვნესდება თვალთა გარეშე.

მარდო სირინკსო, დაადუმე რბენის შრიალი,
 აყვავდი ტბებზე — ლოდინის დროს მოხეტიალე.
 ვიხმობ ქალღმერთებს, მათ აჩრდილებს ავახვე ქამარს,
 წარსულ დღეების რომ გადურჩე ყვედრებს უამარს.



მოვწყვიტავ ყურძენს, — მათრობს წვენი მუშადრევენი
 ლალი სიცილით მე ავსწიე მალლა მტევანი
 და ნაჭუჭებში ხმა ჩავბერე. ზარხოში ცქერით
 მე ყურძნის ქერქში ვჭვრეტდი დაისს მწვანე ეთერით.
 ახლა ნიმფებო ავამღეროთ მოგონებანი!

„ჰკვეთენ ლერწამებს ჩემო თვალის ხარბი ვნებანი
 „და იხილავენ მობანავე ნიმფების ტანებს,
 „რომ გაჰკვივიან თეთრ ტალღებზე ჰანგს დანაქანებს.
 „მაგრამ გრძელ თმების ელვარება უცბათ ხუნდება
 „თქვენს ჩქარ კრთომაში, ო, ბრწყინვალე იაგუნდებო.
 „მივრბივარ, ვხედავ მიძინებულ ქალწულთ მხმობელი —
 „არიან ერთად — ხელები აქვთ გადაქდობილი.
 „მე არ დავარღვევ იმათ ხელებს; მიმყავს აჩრდილი
 „შორს — ნათელიდან, სად ვარდები შუადლით შლილი
 „აფრქვევენ სურნელს, ევლებიან ფერგადასულებს
 „და დღის მნათობებს ამსგავსებენ სათუთ ასულებს.“
 მიყვარს, ქალწულო, შენი წყრომა და თეთრი, წმინდა
 მიუკარებელ ბოროტ ტანის მე ტვირთი მინდა,
 მაგრამ ის მუდამ გახურებულ ტუჩიდან გარბის,
 როგორ მწყურია! მათი შიში ტკბილად მეხარბის;

როგორც ფეხებით მოთარეშეს, ისე სუსტს გულით
აწამებს ვნება. ქალწულობას კარგავს ქალწული,
ცრემლით სოველი — იგი არის განმარტოებით
და სულ სხვა ნისლით სიხარული ფარავს დროებით.
„ვსძლიე პირველი მათი შიში, ხელების კრთომით
„უძირო თმების მე დავშაღე ტყე მიუდგომი.“ ✓
გიჟი ამბორით გავუხსენი ტუჩების რკალი, ✓
ყველა ეს ვქენი და სიცილი აღდაუმცხრალი ✓
მის ხვეულებში მე დავმალე; კიდევ მეორე
იწვა ჩემს გვერდით — მას ხელებით ვემეტეორე ?
და გავიფიქრე: პირველი დის შმაგი ანთება
იმას — უმანკოს ტანში ცეკხლად მოეფანტება.
აღარ გაწითლდა ჩემი ვნებით ქალი პატარა.
წავიდენ ერთად და ობლობამ მუნჯს დამადარა.
იმათ — უმადურთ — გავატანე კვნესა, ნაღველი,
თითქოს ვიყავი მე სიმთვრალის კვლავ შემნახველი.

დე! სხვებმა მომცეს ნეტარება გაუთავები,
მე მოვახვიე ჩემს რქებს მათი თმების კავები,
ვარ ვნებით სავსე — ბროწეული მე სისხლიანი —
და წვენს აგროვებს ნორჩ ფუტკრების ჯარი გვიანი.

სდულს ჩემი სისხლი ყველასათვის — ვისაც სწავს ვნება,
და სურვილებით დატვირთული ჩემკენ იხრება.
და ტყის სამოსი შეღებილი ოქროს წვიმებით;
დამქრალ ფოთლებში ჩაივლიან სხვა ზემები.
ეს ეტნა არის შენს წინაშე. ვენერა შენთან
მოვიდა, (გრგვინვა ახმაურდა და მოითენთა)
ცეცხლის სილაზე მან დატოვა კვალი ფეხების.
ო დედოფალო!

ეგ სასჯელი

ვერ შემეხების!

დაღალულ ტანით ჩემი სული უსიტყვო არი
შუადღის ამაყ სიჩუმეში. ცხელი ლაღარი
მოწყურებული. დავივიწყე ღმერთის გინება,
სხივთ სითეთრეში მძიმე ძილით დამეძინება.
ტუჩებს შევუშვერ მე ზეციურ თეთრ შარავანდებს...

ვხედავ, ნიმფებო, თქვენს წარმავალ და სათუთ ლანდებს!



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

3 6 0 8 0

32

მომავლის ფინომენი.

გათვითრებული ცა (საბოლოოთ დაუძღურებულ სამყაროს თავზე) ესაა გაქრება ღრუბლებით: დაისის მეწამული ნაფლეთები იბნიდებიან სხივებით და წყლით წალეკილ ჰორიზონტზე მძინარ მდინარეში. ხეები მოწყენილია და მათი (უფრო გზის, ვიდრე საუკუნეთა მტვერით) გათვითრებულ ფოთლების ქვეშ ობობას ქსელიდან გამართულია სახლი სიძველეთა მაჩვენებლის: რამოდენიმე ფარანი უცდის ბინდს და სახეებს უცხოველებს მარადი ავადმყოფობით და საუკუნეთა ცოდვებით დამარცხებულთა უბედურ გროვას, ადამიანების გვერდით — დანაშაულში მათ საწყალ თანაზიარით — ორსულთ უბედური ნაყოფით, რომლებ-

h. 6

თან ერთად უნდა დაიღუბოს დედამიწა. ყველა თვალები მოუსვენარ სიჩუმეში ევედრება მზეს, წყალში რომ იძირება კვილის განწირულე-ბით, და ჰა უბრალო ოინბაზური მოწოდება: „არავითარი განცხადება არ გამცნობთ შიგ მყოფ სანახაობას, რადგან არსადაა ნიჭიერი მხატვარი, რომ გადმოგცეთ მისი მწუხარე ლანდი მაინც. მე ვამბობ ცოცხალ (წელთა სიმრავლეში უნაკლო მეცნიერების მიერ შენახულ) ქალზე, რომელიც ოდესღაც არსებობდა. რაღაც გიჟური, თავისებური და გულწრფელი, მე არ ვიცი რა! — რასაც იგი ეძახის თმას, ქსოვილის შვენებით დალაგებულია ტუჩთა სისხლისფერი სიტუ-ტვლით განათებულ მისი სახის ირგვლივ. წესარგებლო სამოსის მაგივრათ აქვს ტანი. იშვიათ ქვების მსგავსი მისი თვალები ვერ შეედ-რებიან გადმოხედვას, რომლითაც სუნთქავს მისი ბედნიერი ტანი; მაღალი ძუძუები თითქო სავესეა ციური რძით, და სუფთა მუხლები ინახავენ

პირველყოფილ ზღვის მარილს.“ ქმრები იჩქაროდნენ, როდესაც იგონებდნენ მათ საწყალ ცოლებს — ქაჩლებს, ავადმყოფებს და საზიზღრობით სავსეთ. მელანქოლიურ ცოლებსაც ცნობის მოყვარეობისთვის უნდოდათ დანახვა.

როდესაც ყველა მოიჯერებდა გულს უკვე დაწყვეტილ საუკუნეთა კეთილშობილ არსების ცქერით, ზოგი გაბრუნდებოდა გულგრილათ, რადგან ვერ გაიგებდა; სხვები გულდაწყვეტილნი, ცრემლიანი წამწამებით მორჩილად გადახედავდნენ ერთმანეთს. მაშინ, როდესაც [ამ დროთა პოეტები იგრძნობენ მათი დამქრალი თვალების ახალ ანთებას და მკრთალი დიდების წუთს, ეწვევათ რიტმი და მთვრალი ტვინით მიიჩქარიან ლამპასთან, რომ თავდავიწყებით იცხოვრონ ეპოქაში, რომელიც ემსახურებოდა სილამაზეს.]

შემდგომის ჩივილი.

მას შემდეგ, რაც მარიამ მე დამტოვა, რომ წასულიყო სხვა ვარსკვლავზე—ორიონ, ალტაირ, ან შენზე, მწვანე ვენერავ—მას შემდეგ მე ვეფერები მარტოობას. მას შემდეგ გძელ დღეებს მე კატასთან ვატარებ ერთი. ყოველ ნივთიერ არსებას მოკლებული, მარტოობაში ვუცდი სულს და კატაა ჩემი მისტიური ამხანაგი. შემიძლია ვთქვა, რომ გძელი დღეები ერთმა გავატარე მარტო კატასთან და ლათინურ დეკადანსის უკანასკნელ მწერლებთან, რადგან მას შემდეგ, რაც აღარაა თეთრი არსება, საოცრად და განსაკუთრებით შევიყვარე ყველაფერი, რაც ატარებს სიმჟკნარის ნიშანს. და ამგვარათ წელი-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წადში ჩემი საყვარელი დროა მიმავალი ჩემი
 ლის უკანასკნელი დღეები შემოდგომის წინ.
 დღისით მე ვსერირობ, როდესაც მზე, სანამ
 ჩაიძირებოდეს, ყვითელი სპილენძის სხივებით
 ისვენებს ნაცრისფერ კედლებზე და წითელი
 სპილენძის სხივებით— ფანჯრის მინებზე. ლიტე-
 რატურა, რომლისგანაც ჩემი გონება მოითხოვს
 დატკობას, არი/რომის უკანასკნელი აგონიური
 დღეების პოეზია იმდენათ, რამდენათაც მან არ
 მიიღო ახალგაზდა ბარბარობის არავითარი სიახ-
 ლოვე და არ ტიტინობს პირველი ქრისტიანული
 პროზის ბავშური ენით.

მე ვკითხულობდი ერთს ამ ძვირფას პოემებიდან
 (ჩემთვის უფრო მომხიბლავია მათი სქელი საფე-
 რავი, ვიდრე ახალგაზდობის სიწითლე) და
 ჩავუშვი ხელი სუფთა ცხოველის ბეწვებში,
 როდესაც ბარბარული არღანი ნელა და სევ-
 დიანათ მღეროდა ჩემი ფანჯრის ქვეშ. ის უკრავდა



აღვისხეთა დიდ ხეივანში, რომელთა ფოთლები
 მე გაზაფხულზედაც ფერმიხდილი მეჩვენებოდა მას
 შემდეგ, რაც მარიამ იქ უკანასკნელად თაფლის
 სანთლებით გაიარა. ეს მართლა სევდის ინსტრუ-
 მენტი: ფორტეპიანო მოციმციმეა, სკრიპკა
 ანათებს დაწყვეტილ ძარღვებს, მაგრამ ბარბა-
 რული არღანი მოგონებათა დაისში უიმედოთ
 მოცნებებს. და ახლა, როდესაც ის აგუგუნებს
 არიას მხიარულს, ვულგარულს და რომელიც
 ხალისს ჰბადებს გარეუბნის მცხოვრებთა გულ-
 ში,— არია მოძველებული, ბანალური—საიდან
 მოდიან ეს რიტურნელები, მოდიან ჩემ სულში
 და მატირებენ, როგორც რომანტიული ბალლა-
 დები—მე მას ვუსმენდი ნელა. ფანჯრიდან
 არ გადამიგდია არც ერთი ფარა, შიშით, რომ
 თავი არ შემეწუხებია და არ გამეგო, რომ ინს-
 ტრუმენტი თავისით არ მღეროდა.

ზამთრის კანკალი.

ვის ეკუთვნოდა ეს საქსონ^{ური}~~ელი~~ საათი, რომელიც იგვიანებს და ცამეტჯერ რეკს თავის ყვაფილებსა და ღმერთების შორის. ვფიქრობ — როგორ გადმო-
ჰქონდათ იგი საქსონიიდან ზანტი დილითანსებით.

(გაცრეცილ ფანჯრებზე ჩამოეკიდა უცნაური ჩრდილები.)

ეს შენი ვენეციური სარკე, ღრმა, როგორც ცივი აუზი, მოოქრული, გველურ ჩარჩოში ჩამწყვდეული, — ვინ იხედებოდა მასში? მჯერა, რომ არა ერთი ქალი ჩასძირავდა ამ ცივ წყალში თავის სილამაზის ცოდვას. და, იქნება, დიდხანს რომ ჩაფუკვირდეს, დავინახავდი ტიტველ მოჩვენებას.

— საძაგელო, შენ ხშირად ამბობ ბოროტ
სიტყვებს.

(დიდი ფანჯრების მალლა მე ვხედავ ობობას
ქსელს.)

ჩვენი სკივრი ძალიან ძველია: დააცქერდი, რო-
გორ აწითლებს ეს ცეცხლი მის სევდიან ხეს.
დაძველებულ ფარდებსაც აქვთ საკუთარი ხანი.
სავარძლების ფერგადასული საპირე და კედლის
ძველებური გრავაურები და ყველა ეს ჩვენი
სიძველე? და ნუ თუ არ გგონია, რომ ეს ბენ-
გალის ნიბლია და ლურჯი ჩიტი გამოხუნდენ?

(ნუ ფიქრობ ობობას ქსელზე, რომელიც დიდი
ფანჯრების ზევით კრთის.)

შენ ეს ყველაფერი გიყვარს და ამიტომ შემოიძლია
შენს ახლო ვიცხოვრო. განა შენ არ გინდოდა—
ჩემო დაო მარადისობის გამოხედვით — რომ სადმე



ჩემ პოემაში გამოჩნდეს სიტყვები: ყოველივე ფერმიხდილისა? შენ არ მოგწონს ახალი ნივთები. ისინი შენც გაშინებენ თავხედი მყვირალობით. შენც მოინდომებდი იმათ გამკრთალებას. მაგრამ ეს ძალიან ძნელია მათთვის, ვისაც ეუცხოება ყოველი მოძრაობა. მოდი, დახურე შენი ძველებური გერმანული ალმანახი, რომელსაც შენ კითხულობ ყურადღებით. ის ასი წლისაა და შიგ ჩამოთვლილი მეფეები ყველა გარდაიცვალა. ძველებურ ხალიჩაზე წამოწოლილი, შენი მუხლების მკრთალ სამოსელზე თავ დასვენებული, — ო, წყნარო ბავშო, — შენთან ვიბაასებ საათობით ალარაა მინდვრები, ქუჩები ცალიერია, მე შენთან ვილაპარაკებ ჩვენ ძველ ნივთებზე. შენ არ მისმენ?

(და ობობას ქსელი ისევ კანკალობს დიდი ფანჯრების მალლა.)

ყ ა ლ ი თ ნ ი .

ჩემი ყალიონი ვნახე გუშინ, როდესაც ვოცნებობდი სალამოს გქელ მუშაობაზე, ზამთრის მშვენიერ მუშაობაზე. სიგარეტები — ზაფხულის ყველა ბავშური სიხარულით — მიტოვებული მზის ლურჯ ფურცლებით და მუსლინით განათებულ წარსულში და ჩემი ჩინებული ყალიონი — აღებული დინჯი კაცისაგან, რომელმაც დიდხანს უნდა სწიოს, რომ უკეთესად იმუშაოს. მაგრამ მე არ მოველოდი საურპრიზს, რომელიც მომიმზადა ამ მიტოვებულმა: როგორც კი მოვწიე პირველათ, დამავიწყდა ჩემი სქელი საქმის წიგნები. აღტაცებული, განაზებული მე ვსუნთქავდი უკანასკნელ ზამთარს, რომელიც ბრუნდებ-



ბოდა. მე არ შევხებივარ ჩემ ერთგულ ბარს, როდესაც საფრანგეთში ვბრუნდებოდი, და წარმომიდგა მთელი ლონდონი, როგორც იგი ერთი წლის წინად სრულიად დავიმორჩილე. ჯერ ეს ძვირფასი ნისლები, რომლებიც ჰხუთავენ ჩვენ ტვინს და აქვთ საკუთარი სურნელება, როდესაც ფანჯრებში შემოდიან. ჩემი თუთუნის ჰგონობდა ოთახს ბნელად, ნახშირის მტვერით გაპუდრული ტყავიანი მებეღლით, რომლებზედაც ჰგორავდა გამხდარი შავი კატა; დიდი ცეცხლი და მოახლე, წითელი ხელებით რომ ჰყრის ნახშირს, და ჩხრიალი ნახშირის, რომელიც თუნუქის ვედროდან სცვივარკინის კალათაში; დილა, ფოჩტალიონის თავისებურად ორჯელ დაკაკუნება, რომელიც მე მაძალებდა სიცოცხლეს! ფანჯარაში ვხედავ ცალიერ *squère*-ის იმ ავადმყოფ ხეებს, მე ვხედავდი ჩემ მიერ ხშირად გადავლილ ფართო ქუჩებს, ამ ზამთარს, ხილების ქვეშ მოგრიალე



გემებს—თქორიან წვიმით დასველებულს და წვერით
ლით შავს—მოგზაურის სამოსში მოხეტიალე
ჩემი საბრალო სატრფოთი. გძელი რუხი ტანი-
სამოსი გზის მტვერის ფერი, სველი მანტო,
რომელიც ეკვროდა მის ცივ მხრებს და მისი
ჩალის შლახა უფროდ, თითქმის, ულენტოდ,
რომელთაც მდიდარი მანდილოსნები გადაჰყრიან
დაბრუნებისას--იმოდენათ იცრიცება ისინი ზღვის
ჰაერით—და რომელთაც ღარიბი სატრფოები კი-
დევ სეზონებისთვის გადაიკეთებენ. მის ყელს
გარეშემო ეხვია საშინელი თავსაფარი, რომლის
ხმარების დროს თავის თავს ეტბნებიან: მშვი-
დობით სამუდამოთ.

LA PÉNULTIEME.

მღეროდენ თუ არა თქვენ ტუჩებზე უცნობი
სიტყვები, დაწყველილი ნაფლეთები უაზრო
ფრაზის?

მე გამოვდიოდი ჩემი დარბაზებიდან და წმინდათ
ვგოძნობდი ფრთას მჩატეს, ათრეულს და მო-
სრიალეს ინსტრუმენტის სიმებზე, იმ ხმის მა-
გიერ, რომელიც წარმოთქვამს ტონით თან-
დათან დაბალით სიტყვებს: „La Pénultième est
morte“ ისე, რომ

La Pénultième

ათავებდა ლექსს და

Est morte

თავისუფლდებოდა
გოძნეულ დამოკიდებულებისაგან, რომელიც



განსაკუთრებით უსარგებლოა უაზრო მნიშვნელობაში. ქუჩაში მე გადავდგი ნაბიჯები და ხმაში nul გავარჩიე სიმი მივიწყებულ ინსტრუმენტზე გადაქიმული, დიდებით შემოსილი მოგონება მეწვია თავისი ფრთით ან პალმით და, თითოთ საიდუმლოებაზე, ვიღიმებოდი მე და შეეხაროდი ნაირი თეორეტიზაციის გონებრივ სურვილს. ფრაზა დაფარული, მოქნილი, ბუმბლის ო წვრილი შტოების თანდათან დაცვენით, ბრუნდებოდა გასაგონ ხმაში შემდეგაც, სანამ არ წარმოითქვა ერთი, დამოუკიდებლად ცოცხალი. მე მივდიოდი (დაუკმაყოფილებელი პირველი შედეგით), თან ვკითხულობდი იმას ლექსის ბოლოში, და ერთხელ, სასინჯათ, ჩემ ბაასს შევუფარდე; მალე წარმოვთქვამდი იმას დუმილით „Pénultième“ ის იქით, რომელშიდაც მე ვნახულობდი მძიმე სიამოვნებას: „La Pénultième—“, შემდეგ სიმი ინსტრუმენტის, გადაქიმული ხმაზე nul, სწყდებოდა, უეჭველათ, და მე მივამატებდი ლოცვით:



„Est morte“. მე ისევ ვუბრუნდებოდი საყვარელ ფიქრებს და დასამზვიდებლად მომყავდა ის, რომ pénultième ტერმინია ლექსიური, რომელიც აღნიშნავს სიტყვების უკანასკნელის წინა მარცვალს, და მისი მოვლინება ბოლოს ცუდათ უარყოფილია მძიმე ლინგვისტურ შრომისაგან, რომლისგან ყოველდღე სწყურია გათავისუფლება ჩემ კეთილშობილ ნიქს პოეტურს: წკრიალიც კი და სიცრუე, რომელმაც ყოველი პასუხისმგებლობა მოიხადა, მჩატე რწმენის სიჩქარით, იყვენ მიზეზი ტანჯვის. დაღლილმა მე გადავსწყვიტე სიტყვებისთვის მწუხარე ბუნებით დამენებებია თავისით ჩემ ტუჩებზე ხეტიალი და ვბუტბუტებდი მოსაფერებელი წუხილით: „La Pénultième est morte, elle est morte, bien morte, la désespérée Pénultième“, ამით ვფიქრობდი მოუსვენრობის დაკმაყოფილებას და საიდუმლოთ ვიმედობდი სუდარით მის მორთვას ფსალმუნთა თანდათან სიმღერით, როდესაც—ო, საშინელებაჲ!—ადვი-



ლათ ასასრულებელი და ნერვიული მაგნიტური
ვიგრძენი ხელი ჩემი დაფიქრებულად დუქნის
ვიტრინაში მოფერების შესტებით, რომლებიც
სცვივოდა რალაცაზე, ხმაც კი (პირველი, რომე-
ლიც იყო უეჭველად ერთადერთი).

მაგრამ რას მივაწერო უეჭვო თანყოფნა ზებუნებ-
რივის და დასაწყისი ტანჯვის, რომლის ქვეშ შფო-
თავს აგონიაში ჩემი ტვინი—naguère seigneur,
როდესაც მე ანტიკვარების ქუჩაზე ინსტიქტიუ-
რად მისული თვალების აწევის დროს ვხედავ,
რომ ვიყავი მუსიკალურ ინსტრუმენტების დუ-
ქნის წინ, სადაც ეკიდა კედელზე ძველი საკრავები
და მიწაზე ყვითელი პალმები, ფრთები ჩრდილში
მიმწყვდეული და ჩიტები ძველი. გავრბივარ მე
საოცარი, რომელსაც მოსჯილი მაქ—ვატარო,
აღბათ, თალხი აუხსნელ Pénultièmeზე.

32/

თარგმანები:

ლ. გ.

მოჩვენება	შალვა აფხაიძე
თხზვა	კოლაუ ნადირაძე
ფანჯარები	ვ. გაფრინდაშვილი
გული („მუდამ ბწმინვალი“ —)	ვ. გაფრინდაშვილი
გული („ისევ შედგარი“ —)	კოლაუ ნადირაძე
ლავარები	ვ. გაფრინდაშვილი
ფანჯარის შუადღე	ვ. გაფრინდაშვილი
პირბა	ანდრო ცირეკიძე

პორტრეტი — ჟესტლების

Translations:

Apparition	Chalva Abkhaïdzé
Soupir	Kolau Nadiradzé
Les Fenêtres	V. Gaprindachvili
Le Cygne	V. Gaprindachvili
Le Cygne	Kolau Nadiradzé
L'Azur	V. Gaprindachvili
L'Après-Midi d'un Faune	V. Gaprindachvili
PROSE	Sandro Tsirekidzé

